



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1492
15/08/2018

ქალაქი ბათუმი

1492-05-4-201808151122



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფიების უფროსის დურსუნ ჩხეიძის 2018 წლის 03 ივლისის №1851-05 მოხსენებითი ბარათისა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის გიორგი ქურიძის 2018 წლის 03 აგვისტოს №2250-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **გბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აპრილის №733 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ კაპიტალურ მშენებლობებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებზე ობიექტთა მიკუთვნების შესახებ“

ბ) ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1.5.“, „1.6.“, „1.7.“, „1.8.“, „1.9.“ და „1.10.“ ქვეპუნქტები:

„1.5. სოფელ თხილნარის მეურნეობაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

1.6. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შარაბიძეებში არსებული დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია;

1.7. სოციალური სახლის მშენებლობა;

1.8. საავტომობილო გზა ბათუმი-ხულო ახალციხის მე-16 კილომეტრში (სოფელ აჭარისწყლის ცენტრი) მდინარე აჭარისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები;

1.9. სოფელ განთიადის გარე განათება;

1.10. სოფელ მახოს სტადიონი.“.

გ) ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „2.16.“, „2.17.“, „2.18.“, „2.19.“, „2.20 და 2.21.“ ქვეპუნქტები:

„2.16. ქვედა ჯოჯოს წყალსადენის რეაბილიტაცია;

2.17. სოფელ მასაურაში (წიქარეული) ძნელადე ნაგერვაძეების დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;

2.18. სოფელ ერგეში წიფლნარას წყალსადენის კაპტაჟების რეაბილიტაცია;

2.19. სოფელ ახალშენში მიქელაძეების დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;

2.20. სოფელ წინსვლაში სახლი №51 -ის სახურავის მოწყობა;

2.21. სოფელ ქედქედის წყალმომარაგება.“.

დ) ბრძანების მესამე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3.6.“, „3.7.“, „3.8.“, „3.9.“, „3.10.“, „3.11.“ და 3.12.“ ქვეპუნქტები:

„3.6. სოფელ მარადიდის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;

3.7. სოფელ სალიბაურის სასმელი წყლის აუზის რეაბილიტაცია“

3.8. სოფელ განთიადის (უშაკოვის დასახლება) არსებული რეზერვუარის შიდა ქსელზე 15 ოჯახის წყალმომარაგებისათვის დამატებითი ქსელის მოწყობა;

3.9. სოფელ ზედა ჭარნალის აუზისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა;

3.10. სოფელ განთიადის ჭაბურღილის სისტემიდან შიდა ქსელზე მხეიძეების დასახლების წყალმომარაგებისთვის დამატებითი ქსელის მოწყობა;

3.11. ფერდსამაგრი კედლების მოწმობა;

3.12. სოფელ თხილნარის მინდია აბაშიძის ქუჩის ბეტონის საფარის მოწყობა.“.

2 ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა